მოსკოვი. 27 ივნისი. (ტელეგრაფით ჩვენი კორ.).

მოსკოვისა და თბილისის “დინამოს” ფეხბურთელთა მეორე წრის მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია დედაქალაქის მაყურებელთა შორის.

მატჩი, მართლაც, მეტად საინტერესოდ დაიწყო. ორივე გუნდი მაღალ ტემპში, სწრაფად თამაშობდა. პირველი ბურთი გატანილ იქნა თბილისელთა კარში შაბროვის მიერ მამედოვის მოწოდებიდან. ცოტა ხანში მამედოვმა ხელსაყრელი მომენტი შეუქმნა ნახევარმცველ ცარევს და ანგარიში გახდა 2:0.

სტუმრებმა ტაიმის დამთავრებამდე გაქვითეს ერთი ბურთი (ჭკუასელი), ხოლო შესვენების შემდეგ იმავე ჭკუასელმა მაყურებელთა მქუხარე ტაშის ქვეშ გაათანაბრა ანგარიში – 2:2.

თამაში კიდევ უფრო გამწვავდა. სწორედ ამ გადამწყვეტ მომენტში თბილისელთა მცველებმა ვერ შეძლეს მოწინააღმდეგის თავდამსხმელთა იერიშების შეკავება და ზედიზედ დაუშვეს სერიოზული ხასიათის შეცდომები. განსაკუთრებით სუსტად ითამაშეს ნ. ძიაპშპამ, (#3) და მეკარე მ. პირაევმა. კერძოდ, ძიაპშპამ ვერ შეძლო გამკლავებოდა ა. მამედოვს (#9), რომელმაც სამჯერ აიძულა თბილისელები დაეწყოთ თამაში ცენტრიდან. თბილისის “დინამომ” განიცადა დამარცხება დიდი ანგარიშით – 2:5.

ამავე გუნდების დუბლიორთა შეხვედრა დამთავრდა ფრედ – 1:1.

ი. კარავაევი.
“ლელო”, 1 ივლისი, 1956 წ.